რონალდ და ნენსი რეიგანები ნარკოტიკების წინააღმდეგ

ვასილ კაჭარავა

როფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი

დღეს ნარკოტიკებისა და ნარკომანიის თემა უაღრესად აქტუალურია საქართველოსთვის. საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ძალები, თითქოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ლობირებენ საქართველოში კანაფის პლანტაციების მასობრივ მოშენებას. პარალელურად, გარკვეული პოლიტიკური პარტიები, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგით, ყოველნაირად ამართლებენ ნარკოკულტურის დამკვიდრებას საქართველოში. თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომ ნარკოტიკები, თუნდაც მსუბუქი, არის ბოროტება, განსაკუთრებით, ახალგაზრდების განვითრების საწყის ეტაპზე მყოფი ფსიქიკისა და ჯანმრთელობისთვის, რასაც არაერთი ექიმი ადასტურებს. სამედიცინო თვალსაზრისით, ეჭვს არ იწვევს, რომ ნარკოტიკების მოხმარება ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას, ზრდის გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებების განვითარების რისკს, ხელს უწყობს ინტელექტუალური კოეფიციენტის დაქვეითებას, ფსიქიკურ აშლილობებს, მამაკაცთა სქესობრივ იმპოტენციას, ინტოქსიკაციას, უეცარი სიკვდილის განვითარებას. დამტკიცებულია, რომ ბავშვის ჩასახვამდე მშობლების (მშობლის) მიერ ნებისმიერი ნარკოტიკის (მსუბუქის ჩათვლით) რამდენიმე თვის განმავლობაში მოხმარება იწვევს სპეციფიკურ გენეტიკურ ცვლილებებს. აღნიშნული ცვლილებები იმდენად მდგრადია, რომ მოქმედებს მრავალი თაობის სიცოცხლის მანძილზე (ალექსანდრე პაპიტაშვილი, 2019:14). ჩვენნაირი მცირერიცხოვანი ერისთვის ეს, ალბათ, ეროვნული უსაფრთხოების მასშტაბის მოვლენაცაა.

1989 წლის 18 იანვრის „ნიუ იორკ თაიმსის“ მონაცემებით, ფრანკლინ რუზველტის შემდეგ არც ერთ პრეზიდენტს არ მოუხდენია ამერიკის პოლიტიკურ სისტემაზე ისეთი გავლენა, როგორც რეიგანს. როდესაც მან პრეზიდენტის კაბინეტი დატოვა 1989 წელს, ამერიკელთა 68 % დადებითად აფასებდა მის საერთო საქმიანობას. 72 % საერთაშორისო სფეროს აფასებდა დადებითად, 62 % კი – მის გავლენას ეკონომიკაზე (არრყ ერმან, 1990:3). ქართველ ამერიკისმცოდნეთა მნიშვნელოვანი ნაწილიც იზიარებს ამ თვალსაზრისს რაც კარგად გამოჩნდა რეიგანის ხსოვნისადმი გამოცემული კრებულის სტატიებში (კრებულის მთავარი რედაქტორი ვ. კაჭარავა – „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005).

ასე რომ, ალბათ ჩვენთვისაც სასარგებლო იქნება ამ ეპოქალური მნიშვნელობის პიროვნების მოსაზრება და პოზიცია ისეთ რთულ და მტკივნეულ თემაზე, როგორიც ნარკოტიკები და ნარკომანიაა.

თუმცა, ნარკოტიკების თემა ადრეც საკმაოდ აქტუალური იყო შეერთებულ შტატებში. 1909 წელს მიიღეს პირველი ფედერალური ე.წ. ოპიუმის მოწევის აკრძალვის კანონი, რომელიც კრძალავდა ამ სუბსტანციის არასამედიცინო გამოყენებას (ჭარ ონ რუგს, 2019).

1914 წელს მიღებული ე.წ. ჰარისონის ნარკოტიკების კანონი პირველად არეგულირებდა ფედერაულ დონეზე ნარკოტიკების პოლიტიკას და მარიხუანის, კოკაინის, ჰეროინის და მორფინის დამზადებასა და გაყიდვას. ქიმები, რომელებიც არასამედიცინო მიზნით გამოწერდნენ ხოლმე ამ ნარკოტიკებს, საკმაოდ მკაცრად ისჯებოდნენ.

1930 წელს ფინანსთა სამინისტროში შეიქმნა ნარკოტიკების ფედერალური ბიურო. ე.წ. ბოგსის კანონით 1951 წელს გაიზარდა სასჯელი მარიხუანის გამოყენებისთვის. 1956 წელს ნარკოტიკების კონტროლის კანონით მიღებულ იქნა იმ დრომდე ყველაზე მკაცრი ანტინარკოტიკული კანონები. პრობაციაც კი გამოირიცხა ამ საქმეებში ბრალდებულთათვის, ხოლო ბავშვებისთვის ნარკოტიკების მიყიდვისთვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. 1960 წლებში ნარკოტიკების გამოყენება მეტად გაიზარდა ახალგაზრდებში. საპასუხოდ, პრეზიდენტმა ჯონსონმა მიაღებინა ნარკომანთა რეაბილიტაციის 1966 წლის კანონი, რომლის მიხედვითაც ნარკომანია გონებრივ დაავადებად ცნეს, თუმცა ნარკოტიკების გამოყენება მაინც დანაშაულად მიიჩნეოდა (History of U S Drug Policy).

1971 წლის 17 ივნისის სპეციალურ გამოსვლაში პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ნარკოტიკები „საზოგადოების ნომერ პირველ მტრად“ გამოაცხადა და მნიშვნელოვნად გაზარდა ნარკომინიასთან მებრძოლი ფედერალური სააგენტოების ხარჯები. „ომი ნარკოტიკების წინააღმდეგ“ ასევე მისი ინიციატივა იყო და იგი არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიო მასშტაბით უნდა წარმართულიყო. ეს საერთაშორისო მაშსტაბის შეტევა ნარკოტიკების მიმწოდებელ წყაროებსაც გადასწვდებოდა. „წარმატებული შეტევისთვის მეტი ფული დაგვჭირდება და კონგრესს დამატებით 155 მილიონს მოვთხოვ, რათა საბოლოოდ, ყველა მიმართულებით, 350 მილიონი დოლარი დაგროვდეს“ (Richard Nixon, 1971).

თეთრი სახლის აპარატის ფარგლებში შეიქმნა ნარკოტიკების გამოყენების პრევენციის განსაკუთრებული ოფისი (Special Action Office for Drug Abuse Prevention (S), სადაც შეიმუშავეს მეტადონის პროგრამა, რომელიც მაშინ ექსპერიმენტულ და მეტად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებდა.

1973 წელს შეიქმნა ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაცია (The Drug Enforcement Administration), რომელმაც ბრძოლა ამერიკის საზღვრებს გარე-

თაც გააჩაღა. კერძოდ კი ზეწოლას ახდენდა მექსიკაზე, რომ იქ შეეწყვიტათ მარიხუანის მოყვანა და მერე ამერიკაში გადმოგზავნა. ამაზე ასობით მილიონი დოლარი დაიხარჯა, დროებით საზღვარიც დაიკეტა და საზღვარზე სხვადასხვა სახის პროდუქციაც ლპებოდა უზარმაზარ რიგებში, მაგრამ ნიქსონმა გარკვეულწილად მიაღწია მიზანს და მექსიკიდან მარიხუანის შემოტანა შემცირდა. ასე რომ, ტრამპი არაა პირველი პრეზიდენტობის კანდიდატი, შემდეგ კი პრეზიდენტიც, ვინც მექსიკის საზღვრის პრობლემას და ნარკოტრეფიკინგს ერთმანეთთან აკავშირებს (Дональд Трамп 2015: 168-171).

რეიგანის დროს ამ ბრძოლამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბი მიიღო და არა მარტო იმიტომ, რომ ეს თემა სულ უფრო აქტუალური ხდებოდა (კარტერის ადმინისტრაციის დროს ნაკლებად ისმოდა), არამედ იმიტომაც, რომ რეიგანების წყვილს, თავისი რელიგიური და მორალურ-ეთიკური პოზიციიდან გამომდინარე, ნარკომანია უცილობელ ბოროტებად ესახებოდა და მთელი თავისი არსით მიუღებლად მიიჩნევდა მას.

1982 წლის 14 ოქტომბერს რეიგანმა სპეციალური გამოსვლა მიუძღვნა უმძიმეს კრიმინოგენურ ვითარებას და სწორედ ნარკოტიკებზე გაამახვილა ყურადღება; აღნიშნა, რომ დანაშაული ეპიდემიასავით მოედო ამერიკას და წელიწადში 20 ათასი ამერიკელის სიცოცხლეს იწირავს, ამერიკის დაახლოებით ყოველ მესამე ოჯახს ეხება და წელიწადში დაახლოებით 8 მილიარდი დოლარის ფინანსურ ზარალად უჯდება ქვეყანას. ქუჩის ნარკოდილერები, კორუმპირებული პოლიციელები და მოხელეები საკუთარ კრიმინალურ სუბკულტურას ქმნიან და უკანონობის გარემოში ყვავიან, და ამას ჩვენი ძალისხმევა უნდა დავუპირისპიროთო.

ამ ურთულესი ამოცანის გადასაწყვეტად რეიგანმა წარადგინა გენერალური პროკურორისა და ფინანსთა სამინისტროს ერთიანი ძალისხმევით შემუშავებული 8-პუნქტიანი გეგმა, რომელიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გულისხმობდა: 12 დამატებითი სპეციალური დანიშნულების ჯგუფის შექმნას, რომელიც აქტიურად ითანაშრომლებდა შტატისა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან; სპეციალური, 15 გამორჩეული და სამართალში კარგი გამოცდილების მქონე ამერიკელისგან შემდგარი კომისიის შექმნას; სპეციალური საწვრთნელი ცენტრის შექმნას ჯორჯიაში, რომელიც ადგილობრივ ძალოვან კადრებს კრიმინალთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს ასწავლიდა; ახალი საკანონმდებლო შეტევის წამოწყებას ორგანიზებული დანაშაულისთვის სასჯელის გამკაცრების მიზნით და სხვა მსგავსი.

რეიგანმა ამერიკელებს ამ ინიციატივების მხარდაჭერა სთხოვა საკუთარი შვილების უსაფრთხო მომავლისა და ამერიკის ბრწყინვალე მიღწევების შენარჩუნების მიზნით (Remarks Announcing Federal Initiatives Against Drug Trafficking and Organized Crime, 1982)

1983 წლის პირველ ნოემბერს რეიგანმა, კონგრესის რეზოლუციის საფუძველზე, ნარკოტიკებთან ბრძოლის სფეროში განათლების კვირეული გამოაცხადა, 2-დან 9 ნოემბრამდე, რომლის მიზანიც იყო სახლში, სკოლასა და თემში მშობლებისა და შვილების ყურადღების გამახვილება ნარკოტიკების გამოყენებისგან გამომდინარე საფრთხეებზე (Proclamation 5123, National Drug Abuse Education Week, 1983)

1986 წლის 14 სექტემბერს რონალდი უკვე ნენსისთან ერთად აკეთებს განცხადებას თეთრი სახლიდან. თუმცა ამ თემაზე ისინი ერთობლივად 1982 წლის ივნისშიც გამოსულან რადიომიმართვით (Radio Address to the Nation on Federal Drug Policy, 1982). რეიგანებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამერიკელებს მიმართავენ, როგორც მშობლები, ბებია და ბაბუა და, საერთოდ, გულისხმიერი მეზობლები. შეხვედრის დასაწყისში პრეზიდენტმა ნარკომანიასთან ბრძლის გარკვეულ წარმატებებზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა მარიხუანის რაოდენობის შემცირებას ქვეყანაში; კმაყოფილების გრძნობით აღნიშნა, რომ 1981 წლის შემდეგ 10 ათასი ნარკოდილერი და მათთან დაკავშირებული კრიმინალი დააკავეს და 250 მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკის კონფისკაცია შეძლეს ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის მეშვეობით. მაგრამ რეიგანი აღიარებდა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი იყო გასაკეთებელი, რადგან გავრცელდა კოკაინი, რომლსაც 4-5 მილიონი ამერიკელი იყენებდა, ჰეროინის მომხმარებელთა რაოდენობამ 500 ათასს გადააჭარბა, მარიხუანას კი ყოველი მეცხრამეტე კაცი ეწევაო; ყურადღება გაამახვილა ახალ მოსაწევ და იაფ კოკაინის ნაირსახეობაზე – „კრეკზე“, რომელიც ეპიდემიასავით მოედო ამერიკას. ნარკომანთა შორის მაღალი იყო 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდების პროცენტი.

შემდეგ რეიგანმა ნენსის ღვაწლი აღნიშნა, რომელმაც, მისი სიტყვებით, 100 ათასი მილი დაფარა და 55 ქალაქსა და 6 უცხო ქვეყანაში სკოლის მოწაფეებს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენების წინააღდეგ მოუწოდებდა. ნენსის უამრავი რადიო და ტელემიმართვა გაუკეთებია ამ თემაზე და ახლა სპეციალური მიმართვა აქვს თქვენთანო, – გამოაცხადა კონფერანსიეს როლში შესულმა პრეზიდენტმა, მიანიშნა რა, რომ მთავარი როლი ამ შეხვედრაში ამჯერად მის საყვარელ მეუღლეს ეკუთვნოდა.

ნენსიმაც აღნიშნა, რომ შემოდგომა, სექტემბერი, მას მუდამ სკოლაში სწავლების დაწყებას, შესაბამისად კი, შვილებისა და შვილიშვილების ბედს ახსენებდა; სევდიანად გაუსვა ხაზი, რომ ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების და ალკოჰოლის გამოყენება ეპიდემია იყო ამერიკაში, რომელიც ყველას ეხებოდა და, რასაკვირველია, ჩვენს შვილებსაცო; ამ ეპიდემიის საშინელი მაგალითიც მოიყვნა, როდესაც მცირეწლოვანმა ნარკომანმა გოგონამ უკვე ნარკოტიკზე დამოკიდებული ბავშვი გააჩინა.

ნენსიმ აღნიშნა, რომ ამ ბრძოლაში თავად ბავშვებიც დაეხმარენ: – „ამ დღეებში ოკლენდში მათ მკითხეს, თუ რა გაეკეთებინათ, როცა მათ ნარკოტიკებს შესთავაზებდნენ. მე მარტივად ვურჩიე მათ: „უბრალოდ, თქვით არა“. და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ბავშვებმა მალე თავად ჩამოაყალიბეს კლუბი „უბრალოდ, თქვი არა“ და ახლა ამერიკაში დაახლოებით 10 ათასი ასეთი კლუბია. ამ ახალგაზრდების სურვილს ჩვენი სერიოზული დახმარება სჭირდება“.

ერთ-ერთი თინეიჯერი იხსენებდაო, ამბობდა ნენსი, რომ ნარკომანობის პერიოდში სამყარო მას მარტო შავ ან ნაცრისფერ ფერებში ეხატებოდა, ხოლო როდესაც შეეშვა ნარკოტიკს, სამყარო ისევ ფერადად დაინახა. „ასე რომ, გაახილეთ თვალი და შეირგეთ ეს ფერადოვანი სამყაროო“. ნენსის ამ მართლაც რომ ემოციური და შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ საუბარში კვლავ რეიგანი ჩაერთო და ნარკომანიასთან ბრძოლის 6 ახალი კონკრეტული ინიციატივა წამოაყენა, მათ შორის: ნარკოტიკებისგან თავისუფალი სამუშაო ადგილები როგორც ფედერალურ სამსახურში, ასევე კერძო სექტორში; ნარკოტიკებისგან თავისუფალი სკოლები; ნარკომანიისაგან მკურნალობის შესაძლებლობების ზრდა; საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ნარკოტიკების გადაადგილებასთან დაკავშირებთ; ძალოვანი სტრუქტურების გააქტიურება; საზოგადოების ინფორმირებულობა და ნარკომანიის პრევენცია (Address to the Nation on the Campaign Against Drug Abuse, 1986).

ამ გამოსვლას ბევრი აქებდა, მაგრამ, მაგალითად, ნიუ იორკის მერი ედვარდ კოხი აცხადებდა, რომ თუ რეიგანს მართლა სურდა რეალური ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, ამ მიზნით მეტი ფული უნდა მოეთხოვა კონგრესისგან (Gerald M. Boyd, 1986).

თავად პრეზიდენტი გულწრფელად იყო აღტაცებული ნენსის ინიციატივით და მას თავის „საიუდუმლო იარაღს“ უწოდებდა ნარკომნიიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საინტერესოა, რომ ნენსი რეიგანმა, 1985 წელს, ჟენევის სამიტის დროს, როდესაც რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, გადაწყვიტა ამ გამოცდილების გაზიარება რაისა გორბაჩოვისთვის, ვინაიდან მსოფლიოს მრავალი პირველი ლედი აქტიურად იყო დაკავებული მსგავსი ხასიათის საზოგადოებრივი საქმიანობით. მაგრამ რაისამ, თურმე, მაშინვე გამორიცხა ამ თემაზე საუბარი, ირწმუნებოდა რა, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა ნარკომანიის პრობლემა. ამაზე ნენსი ირონიით წერდა თავის მემუარებში – „ნუთუ მართლა?“ (Nancy Reagan, William Novak, 1989: 353).

რასაკვირველია, რეიგანი არ კმყოფილდებოდა ნენსის კამპანიით „უბრალოდ, თქვი არა“ და, როგორც აღვნიშნეთ, მისი ადმინისტრაციის დროს უამრავი გაცილებით უფრო ქმედითი და ეფექტური ნაბიჯი გადაიდ-

გა. როგორც რეიგანის ერთ-ერთი ყელაზე ცნობილი ბიოგრაფი ლუი კენონი წერდა, რეიგანი ძალიან სერიოზულად იყო განწყობილი ნარკოტიკების პრობლემის მიმართ და მისმა ადმინისტრაციამ მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. ნენსი რეიგანის პროპაგანდისტულ კამპანიასთან ერთად, ფედერალური გამოძიების ბიურო უაღრესად აქტიურად ჩაერთო ამ ომში და 500 აგენტი დაუმატა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციას. შეიქმნა 13 ანტინარკოტიკული ძალოვანი უწყება და მრავალი სხვა. თუმცა იმასაც ამატებს, რომ ნარკოტიკების პრობლემა რეიაგანის ადმინისტრაციის ბოლოსთვის დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც მის დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში, დიდ ქალაქებში (Lou Cannon, 2000: 730).

თუმცა, თუ 8 წლის მანძილზე, როდესაც ნარკოტიკების მომზადებისა და ნარკოტრეფიკინგის მასშტაბი, შეიძლება ითქვას, გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა, მოხერხდა ნარკომანიის იმავე დონეზე დატოვება, ეს ალბათ უკვე თავისთავად დიდი მიღწევა და ათიათასობით გადარჩენილი სიცოცხლე იყო.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ყველაზე კეთილშობილ მოქმედებასაც კი შეიძლება გამოუნახო ან მოუგონო ნაკლი. ზოგიერთი თანამედროვე წყარო იმასაც კი აღნიშნავს, რომ თურმე 1986 წლის ანტინარკოტიკული კანონმდებლობები რასისტული ხასიათის იყო იმიტომ, რომ 5 გრამი კრეკისთვის ისეთივე სასჯელი იყო დაწესებული, როგორც 500 გრამი კოკაინისთვის. ვინაიდან შედარებით იაფ კრეკს ძირითადად ზანგები ეწეოდნენ, ამიტომაც ნარკოდანაშაულისთვის ციხეში 80 პროცენტი სწორედაც რომ ზანგები ხვდებოდნენ (Just Say No, 2018). იმასაც კი წერენ, რომ ეს რასისტული მიდგომები თავიდანვე იყო ჩადებული ამ კანონებში და რომ ისტერია კრეკის ეპიდემიის გამო სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ შავკანიანი ამერიკელები დაესაჯათო (Ronald Reagan and his 'War on Drugs' An American tragedy in three acts, 2017).

არადა, საქმე იმაში იყო, რომ კრეკი უფრო მავნეა და უფრო ადვილად ხდის ადამიანს მასზე დამოკიდებულს. მისი ვერაგული სიიაფეც მართლაც რომ მეტ მსხვერპლს იწვევდა და ის, რომ ზანგებში გაჭირვებულთა პროცენტი უფრო მაღალი იყო, მაშინდელი ამერიკის რეალობა გახლდათ.

ალბათ, უდავოა რეიგანების წყვილის გულწრფელი ქმედების პოზიტიური მხარე ამერიკული საზოგადოებისთვის, მისი ზნისა და ჯანმრთელობისთვის. შეიძლება შედეგი ისეთი არ იყო, როგორსაც ამ ბრძოლაში ჩადებული ძალისხმევისა და სახსრებისგან ელოდნენ. ალბათ გარკვეული შეცდომებიც იყო ამ ბრძოლის ველზე, მაგრამ ამერიკელებმა კარგად იციან საკუთარ შეცდომებზე სწავლა. როგორც ვხედავთ, ნარკომანიის პრობლემა კვლავაც სახეზეა და ცხადია, არც არავინ ელოდა, რომ ის საერთოდ გაქრებოდა, მაგრამ რეიგანის ადმინისტრაციის ძალისხმევა რომ არა, ალბათ, დღევანდელობა

ამ სფეროში კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. ჩვენთვის კი უთუოდ სასარგებლოა იმის გათვალისწინება, რომ სახელმწო სტრუქტურების უმაღლესი ეშელონები, ვფიქრობთ, ვალდებულნი არიან, თუნდაც რეიგანისეული გამოცდილების საფუძველზე, აქტიურად გამოიყენონ საკუთარი მაღალი ტრიბუნა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი საზოგადოების ძალისხმევა გააერთიანონ ამ მიმართულებთ. რეიგანების გამოცდილება ცხადყობს, რომ ეს შესაძლებელია და ეფექტურიცაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრე პაპიტაშვილი, *კანაფის ხშირ მოხმარებას ადამიანის გენეტიკური კოდის შეცვლა შეუძლია,* კვირის პალიტრა, 2019, #31.
2. „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა“, მთ. რედაქტორი ვ. კაჭარავა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005.
3. Berman Larry, *Looking back on the Ronald Reagan Presidency, Looking back on the Ronald Reagan Presidency*, Edited by Larry Berman, John Hopkins University Press, 1990.
4. *My Turn, The Memoirs of Nancy Reagan*, with William Novak, A Dell Book, 1989.
5. Cannon Lou, *President Reagan, The Role of a Lifetime,* Public Affairs, New York, 2000.
6. Gerald M. Boyd*, Reagan's Advocate 'Crusade' on Drugs,* The New York Times, Sept. 15, 1986. Accessed: https://www.nytimes.com/1986/09/15/us/reagans-advocate-crusade-on-drugs.html
7. Ronald Reagan's Remarks Announcing Federal Initiatives Against Drug Trafficking and Organized Crime October 14, 1982, Accessed: https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/101482c
8. Ronald Reagan's Remarks about an Intensified Program for Drug Abuse Prevention and Control.
9. Richard Nixon, Remarks About an Intensified Program for Drug Abuse Prevention and Control, June 17, 1971 https://www.presidency.ucsb.edu/documents/remarks-about-intensified-program-for-drug-abuse-prevention-and-control
10. Ronald Reagan's Radio Address to the Nation on Federal Drug Policy, October 2, 1982, Accessed: https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/100282a
11. Proclamation 5123, National Drug Abuse Education Week, 1983 November 1, 1983. Accessed: https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/110183b
12. History of U S Drug Policy, Accessed: https://web.stanford.edu/class/e297c/poverty–prejudice/paradox/htele.html
13. War on Drugs, History.Com Editors,Updated: Jun 7, 2019, Original: May 31, 2017. Accessed: https://www.history.com/topics/crime/the-war-on-drugs

14. Address to the Nation on the Campaign Against Drug Abuse, September 14, 1986. Accessed: https://www.reaganlibrary.gov/research/speeches/091486a
15. Just Say No, History.Com Editors, Update August 21, 2018. Accessed: ttps://www.history.com/topics/1980s/just-say-no
16. Watch: Ronald Reagan and his "War on Drugs", An American Tragedy in Three Acts, Jun 26, 2017. h Accessed: ttps://timeline.com/ronald-nancy-reagan-war-on-drugs-crack-baby-just-say-no-cia-communism-racial-injustice-fcfeadb3548d
17. Дональд Трамп, Былое Величие Америки, Издание «Эксмо» 2016.

Ronald and Nancy Reagans Against Drugs in America

Vasil Kacharava

Professor , Ivane Javakhishvili Tbilisi State Univeristy

Abstract

Nowadays, the battle against drugs and its abuse is an extremely challenging matter in Georgia. The article covers American methods against this painful problem during Ronald Reagan's administration, and how he and Nancy were actively involved in the fight against it.

For the Reagans, drug addiction, coming from their religious and moral views, was unacceptable and opposed their beliefs.

Ronald dedicated multiple speeches and legislative incentives regarding this topic. The first lady, Nancy Reagan, was also actively involved in the battle against this terrible disease. She travelled all around the states and held meetings with the youth while preaching her movement - Just Say No!

Despite their significant effort, of course, the couple's attempts were not enough for the eradication of this issue in America. Still, we can believe that they were at least able to slow down the distribution of drugs.

Hopefully, the activity of Reagan's will be an excellent example to the world and namely Georgia, on how personal involvement highest rank politicians can affect the society and country. Although it may not eliminate the issue, it can still change and save a small group of people.